



## აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU)

EEU – ს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის  
პოლიტიკა



**EEU**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი |

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 19 მარტის ბრძანებით №16/01-08

## წინასიტყვაობა

---

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - EEU/უნივერსიტეტი) საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: სწრაფვა ხარისხისკენ, გამჭვირვალობა, კეთილსინდისიერება და აკადემიური თავისუფლება.

**EEU** - ს გათვინობიერებულია აქვს, რომ მისი საქმიანობა სანდო და მდგრადი იქნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძლებს პოზიტიური გავლენის მოხდენას საზოგადოების განვითარებაზე.

გამომდინარე აქედან, უნივერსიტეტისათვის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, **EEU** - ს კორპორატიული კულტურის ნაწილია. იგი უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელია.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების მიზანია: ცხადი გახადოს **EEU** - ს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის არსი, მისი მნიშვნელობა, ძირითადი სფეროები, მიდგომები და დაამკვიდროს მათი გამოყენების ერთიანი გაგება მასში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისათვის.

დოკუმენტის მომზადების პროცესში გაანალიზდა **EEU** - ში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, შეფასდა მათი კავშირი უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და ბაზარზე **EEU**- ს პოზიციონირების მაჩვენებლებთან.

ზემოთ აღწერილი პროცესების გაანალიზების შედეგად შემუშავებული იქნა წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც ემსახურება **EEU** - ში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სრული ციკლის ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველყოფას.

წინამდებარე დოკუმენტის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მიერ, ამასთანავე მისი შინაარსის რევიზია და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირება უზრუნველყოფილი იქნება საჭიროებისამებრ, სოციალური პასუხისმგებლობის სრული ციკლის ეფექტიანობის შეფასების შედეგების ანალიზზე დაფუძნებით.

## 1. დოკუმენტის გამოყენების სფერო

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის დოკუმენტი გამოიყენება როგორც სტრატეგიულ გეგმარებისას, ასევე EEU- ს ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

## 2. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის მიზანი

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, მოწვევადი ჯგუფების შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივ სიკეთეებთან წვდომის გაზრდასა, ასევე გარემოს მდგრად განვითარებას.

## 3. პოლიტიკის ამოცანები

**EEU** თავის უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვის ხელშეწყობას, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობაში, აგრეთვე საზოგადოებაშიც. შესაბამისად, საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, გარდა ძირითადი საქმიანობისა ცდილობს იმგვარი პოზიტიური ზეგავლენის მოხდენას, რომლებიც საზოგადოების განვითარებაზეა მიმართული. ამ მხრივ უნივერსიტეტის მიერ შესაძლებელია მხარდაჭერილი იქნეს ისეთი პროექტები, რომელიც მიმართულია ბიზნესის განვითარებაზე და ხელშეწყობაზე, ნიჭიერი ახალგაზრდების განათლებასა და მათი ინტერესების განვითარებაზე, კულტურულ, სახელოვნებო, სოციალური პრობლემების გადაჭრაზე და სხვა.

საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, სოციალურ პასუხისმგებლობა განიხილება, როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოების მიმართ, ისევე ყველა დაინტერესებული გარე პირის მიმართაც. დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრული იქნა უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაზე მიმართული საქმიანობის შემდეგი სფეროები:

1. **სოციალური-ეკონომიკური სფერო;**
2. **მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების სფერო;**
3. **გარემოს დაცვითი სფერო;**
4. **ორგანიზაციული მართვის სფერო.**

აგრეთვე სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ქვეშ, უნივერსიტეტი განავითარებს როგორც საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლებასაც უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებაზე მიმართული საქმიანობის ტიპების მიხედვით განისაზღვრა მათი განხორციელების გზები და შესაბამისი საქმიანობები.

## 5. სოციალური-ეკონომიკური განვითარების სფერო

**EEU** დაინტერესებულია სოციალური-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობასა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაში, რისთვისაც ახდენს სხვადასხვა სოციალური პროგრამის რეალიზებას, ხელს უწყობს უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩართვას საქველმოქმედო საქმიანობაში.

შესაძლო საქმიანობები:

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი პროგრამების განხორციელება;
- საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების განვითარება;
- დაინტერესებულ პირებისთვის სოციალურ და ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ჯანდაცვითი და სახელოვნებო პროგრამების განხორციელება;
- საქველმოქმედო და მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელება, როგორც სისტემატიურ, ასევე ფორსმაჟორულ სიტუაციებში, როგორცაა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობა.

## 6. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების სფერო

**EEU** უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას, რათა ისინი გახდნენ პასუხისმგებელი მოქალაქეები და ხელი შეუწყონ საზოგადოების მდგრად განვითარებას, გაიზარდოს მოწყვლადი ჯგუფების შესაძლებლობები და საზოგადოებრივ სიკეთებთან წვდომა, ყველა დაინტერესებული პირის პიროვნული და პროფესიული განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

შესაძლო საქმიანობები:

- სტუდენტის ქცევის ცვლილებებზე მიმართული პროგრამების განხორციელება, რომელიც ეხება შემდეგს თემებს: სოციალურად აქტიური მოქალაქეობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრება, კორუფციასთან ბრძოლა, საზოგადოებრივი წესრიგისა და გარემოს დაცვა, ნარკოტიკების მოხმარების აღმოფხვრა და სხვა სოციალურად მნიშვნელოვანი საქმიანობა;
- სტუდენტებისათვის სასტიპენდიო პროგრამები;
- მოწყვლადი ჯგუფებისათვის პრობლემების გადაწყვეტაზე და საჭიროებაზე მორგებულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი განათლების ხელშეწყობის ფარგლებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებზე მორგებული მრავალფეროვანი და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულები, კურსები) განხორციელება;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიმართული მრავალფეროვანი და მოქნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროგრამების (მოდულები, კურსები) განხორციელება.

## 7. გარემოს დაცვითი სფერო

**EEU** ისწრაფვის საზოგადოებაში გარემოსდაცვითი საკითხებზე ფართე დიალოგის ხელშეწყობის გზით საკუთარ საქმიანობაში დანერგოს თანამედროვე გარემოსდაცვითი მიდგომები, შესთავაზოს გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე ცოდნა, ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას და შესაბამისი მიდგომების დანერგვას, პრაქტიკულად დანერგოს მწვანე მიდგომები უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.

შესაძლო საქმიანობები:

- სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხებზე განხილვისა და კვლევების განსახორციელებლად პროგრამების დანერგვა;
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და თემში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება;
- ლოკალურ და რეგიონალურ ბიზნესის წარმოებისას ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების პროპაგანდა და დანერგვის ხელშეწყობა;
- ენერგო დამზოგავი და ენერგო ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა;
- ქაღალდის გამოყენების შემცირების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული სწავლების სისტემის დანერგვა.

## 8. ორგანიზაციული მართვის სფერო

**EEU** კარგი მმართველობისთვის უზრუნველყოფს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გამოყენებას. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის განხორციელებისას შესაძლო საქმიანობებია:

- სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობაში ეთიკის, აგრეთვე სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხებზე ფართო დიალოგის ხელშეწყობის გზით საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობის წახალისება;
- უნივერსიტეტის მართვის პრაქტიკაში საზოგადოების წინაშე მეტი გამჭვირვალობის დანერგვა;
- ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობის უზრუნველყოფა, როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, ასევე კვლევასა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.
- თანამშრომლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესება.